

აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს აკრედიტაციის ცენტრის  
ინსპექტირების ორგანოების ტექნიკურ მრჩეველთა კომიტეტის (ტმკ) მშენებლობის  
სამუშაო ჯგუფის

რეკომენდაცია

შესრულებული სამუშაოების (მათ შორის ფორმა #2) ინსპექტირების სქემა სპეციფიურ  
საკითხებთან მიმართებაში

ქ. თბილისი

2017 წელი

აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს აკრედიტაციის ცენტრის ინსპექტირების ორგანოების  
ტექნიკურ მრჩეველთა კომიტეტის (ტმკ) მშენებლობის სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დამსწრე პირები:

1. ი/ო “ოპტიმალ გრუპ+“-ის ხელმძღვანელი \_\_\_\_\_ ალ.ველიჯანაშვილი
2. ი/ო „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“-ს ხელმძღვანელი \_\_\_\_\_ დ. ჯიბლაძე
3. ი/ო “ალთა“-ს ხელმძღვანელი \_\_\_\_\_ ალ. თასოშვილი
4. ი/ო “თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი“-ს ხელმძღვანელი \_\_\_\_\_ ზ. შავდათუაშვილი
5. ი/ო „რეალექსპერტი“-ს ხელმძღვანელი \_\_\_\_\_ მ. ნიკოლაიშვილი
6. ი/ო “მშენ-ექსპერტი“-ს ხელმძღვანელი \_\_\_\_\_ მ. წიქარიშვილი
7. ი/ო „საექსპერტიზა“-ს ხელმძღვანელი \_\_\_\_\_ ზ. მირველაშვილი
8. ი/ო „საქართველოს ექსპერტთა კოლეგია “ \_\_\_\_\_ გ. გუბელაძე
9. ი/ო „ქრიზოლითი“ \_\_\_\_\_ მ. ახვლედიანი

# შესრულებული სამუშაოების (მათ შორის ფორმა #2) ინსპექტირების სქემა სპეციფიურ საკითხებთან მიმართებაში

## 1. გაუთვალისწინებელი ხარჯების ათვისება:

1.1. შესრულებული სამუშაოების აქტში (ფორმა №2) გაუთვალისწინებელი ხარჯების მაქსიმალურად დასაშვები ოდენობა, მათ შორის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების არასრულად შესრულების შემთხვევაში, განისაზღვრება ამავე ხარჯთაღრიცხვის ჯამური ღირებულების წინასწარ განსაზღვრული (ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებული) %-ით;

1.2. შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა №2) ინსპექტირებისას, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებულ ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებული %-ის ფარგლებში გაუთვალისწინებელი ხარჯების ათვისების საფუძველს წარმოადგენს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ორმხრივად დამოწმებული წერილობითი შეთანხმება, რომელშიც წარმოდგენილი იქნება გაუთვალისწინებელი სამუშაოების გაფასებული ჩამონათვალი (გაუთვალისწინებელი ხარჯების ხარჯთაღრიცხვა). ინფორმაცია ზემოაღნიშნული შეთანხმების შესახებ უნდა იყოს აღნიშნული ინსპექტირების ანგარიშში;

1.3. შესრულებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების აქტში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ნორმატიული დანარიცხი, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებულ ძირითად ხარჯთაღრიცხვაში ანალოგიური ტიპის სამუშაოებისათვის განსაზღვრული პროცენტული ოდენობით (გაუთვალისწინებელი დანარიცხის გარდა). ამასთანავე გაუთვალისწინებელი სამუშაოების ჯამური ღირებულება, დანარიცხების ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით შეთანხმებული გაუთვალისწინებელი ხარჯების ოდენობას.

1.4. გაუთვალისწინებელი ხარჯების ათვისებისას, შესრულებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების აქტში მოცემული იმ ტიპის სამუშაოები, რომლებიც არ იყო გაფასებული შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებულ ძირითად ხარჯთაღრიცხვაში (მათ შორის ძირითად ხარჯთაღრიცხვაში გაფასებული სამუშაოების მსგავსი სამუშაოები), უნდა გაიშიფროს (შედგენილ იქნას ხარჯთაღრიცხვა რესურსული მეთოდით) №52 დადგენილების შესაბამისად და განფასდეს ფაქტიური დანახარჯებით, სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვაში მოცემული ნორმატიული დანარიცხების შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს №55 დადგენილებებით განსაზღვრული ოდენობით. ასეთი სამუშაოები უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან და საპროექტოსთან. თუ ასეთი სამუშაოები არ არის შეთანხმებული საპროექტოსთან, ინსპექტირების ორგანო ვალდებულია ეს ფაქტი დააფიქსიროს ინსპექტირების ანგარიშში.

1.5. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებულ ძირითად ხარჯთაღრიცხვაში და გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში მოცემული იდენტური სამუშაოების ერთეულის ფასები არ უნდა იყოს განსხვავებული. ინსპექტირების ორგანოში წარმოდგენილ, შემსყიდველის მიერ დამოწმებულ გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში ისეთი სამუშაოების არსებობის შემთხვევაში, რომელთა იდენტური სამუშაოები გაფასებულია ძირითად ხარჯთაღრიცხვაში და მათი ერთეულის ღირებულება განსხვავებულია, გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში უნდა მოხდეს ერთეულის ღირებულებების დაკორექტირება ძირითადი ხარჯთაღრიცხვის მონაცემების შესაბამისად;

## 2. შემსყიდველსა და შემსრულებელს შორის შეთანხმებულ ხარჯთაღრიცხვასთან მიმართებაში ზედმეტად შესრულებული სამუშაოები:

შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის მონაცემებზე ზედმეტად შესრულებული სამუშაოები, რომლებიც არ არის შეთანხმებული შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის, შესაძლებელია აისახოს ინსპექტირების ანგარიშში და ასეთი ზედმეტობით შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი მათი ღირებულებებით და დანარიცხებით, ცალკე უნდა იქნას გატანილი, მკაფიოდ იქნას

იდენტიფიცირებული და არ უნდა დაჯამდეს შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ღირებულებასთან. აღნიშნული მიდგომა იდენტურია ფაქტიურად შესრულებულ, აუცილებლად შესასრულებელ სამუშაოებთან მიმართებაში, რომლებიც შესაძლებელია დასტურდებოდეს პროექტითაც, მიუხედავად იმისა შესრულებული სამუშაოების ჯამური ღირებულება აღნიშნული სამუშაოების ღირებულების ჩათვლით აღემატება თუ არ აღემატება სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას, აგრეთვე ხარჯთაღრიცხვის მონაცემებზე ზედმეტად შესრულებულ ისეთ ფარულ სამუშაოებთან მიმართებაში, რომლებზედაც წარმოდგენილია შემსყიდველის, ან მისი წარმომადგენლის მიერ დადასტურებული ფარული სამუშაოების აქტი;

**3. შემსყიდველსა და შემსრულებელს შორის შეთანხმებულ ხარჯთაღრიცხვაში დაჯამების, ნამრავლის, პროგრამული ან სხვა შეცდომა:**

შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებულ ხარჯთაღრიცხვაში დაჯამების, ნამრავლის, პროგრამული ან სხვა შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში, მისი გასწორება უნდა მოხდეს ინსპექტირების დროს:

- იმ შემთხვევაში, როდესაც შეცდომა არის ერთეულის მოცულობაზე/რაოდენობაზე ნამრავლში, ერთეული სამუშაოს ღირებულება უნდა განისაზღვროს ამ პოზიციის მთლიანი ფასის მთლიან მოცულობაზე/რაოდენობაზე გაყოფის შედეგად მიღებული რიცხვით. ასეთი შეცდომის შესწორების მიმართ მიდგომა ანალოგიურია, როგორც მეტობის, ისე ნაკლებობის მიმართულებით;
- იმ შემთხვევაში თუ სამუშაოს ან მისი ნაწილის ღირებულება გამორჩენილია დაჯამების პროცესში, აღნიშნული სამუშაოს ღირებულება ჩაითვლება ნულის ტოლად. ასეთი სამუშაოები უნდა დარჩეს სამუშაოთა ძირითად ჩამონათვალში ღირებულების გარეშე;

შესაბამისი განმარტებები უნდა გაკეთდეს ინსპექტირების ანგარიშის კვლევით ნაწილში;

**4. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებულ ხარჯთაღრიცხვაში მოცემული მასალების/მოწყობილობების ნაცვლად ანალოგიური დანიშნულების, მაგრამ განსხვავებული მახასიათებლების მქონე მასალების, მოწყობილობების გამოყენება:**

მიმწოდებლის მიერ სამუშაოების შესრულებისას, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებულ ხარჯთაღრიცხვაში მოცემული მასალების, მოწყობილობების ნაცვლად ანალოგიური დანიშნულების, მაგრამ განსხვავებული მახასიათებლების მქონე მასალების, მოწყობილობების შემსყიდველთან წერილობითი შეთანხმების გარეშე გამოყენების შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტი განმარტების სახით უნდა დაფიქსირდეს ინსპექტირების ანგარიშის კვლევით ნაწილში, ასეთი სამუშაოების ჩამონათვალი ღირებულებების და დანარიცხების გარეშე, ცალკე უნდა იქნას გატანილი და აღნიშნული სამუშაოების ღირებულების გათვალისწინება არ უნდა მოხდეს ინსპექტირების ანგარიშში.

შენიშვნა: ინსპექტირების ანგარიშში ასეთი სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებისთვის, აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი საპროექტოს მიერ დამოწმებული შეთანხმება შემსყიდველთან. ამასთანავე სამუშაოები განფასებული უნდა იყოს 1.4 პუნქტის შესაბამისად;

**5. ერთი ხელშეკრულების ფარგლებში რამდენიმე ობიექტის შესრულებისას, შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვ(ებ)ის მონაცემებთან მიმართებაში წარმოქმნილი თანხობრივი მეტობებისა და ნაკლებობების ურთიერთგადაფარვა:**

ერთი ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული რამდენიმე ობიექტის (მათ შორის, თუ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია მათი ჯამური ღირებულება), ან ერთი ობიექტის სხვადასხვა ლოკალურ ხარჯთაღრიცხვაში (მაგ: სამშენებლო ნაწილის, სანტექნიკური ნაწილის და სხვა) მოცემული სამუშაოების ფაქტიურად შესრულებული მოცულობების შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის

შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის მონაცემებთან განსხვავებების გამო წარმოქმნილი თანხობრივი მეტობების, ან ნაკლებობების ურთიერთგადაფარვა დაუშვებელია, თუ არ არის წარმოდგენილი საპროექტოს დამოწმებული შეთანხმება შემსყიდველთან და შესაბამისად კორექტირებული ხარჯთაღრიცხვები და საჭიროების შემთხვევაში პროექტები.

**შენიშვნა:** აღნიშნული საკითხი წარმოადგენს შემსყიდველის პრეროგატივას და პასუხისმგებლობას, ექსპერტის/ინსპექტორის მიერ უნდა მოხდეს მოცულობის და ღირებულების განსაზღვრა ცალკეული ობიექტებისათვის ცალკე ცხრილის სახით, მეტობების და ნაკლებობების მითითებით.

## **6. განსხვავებები პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მონაცემებს შორის:**

შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა №2) ინსპექტირებისას პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მონაცემებს შორის განსხვავებების გამოვლენის შემთხვევაში, ინსპექტირების ანგარიშის კვლევით ნაწილში აუცილებელია ასეთი განსხვავებების დაფიქსირება და დამკვეთისთვის მითითება პროექტსა ან/და ხარჯთაღრიცხვაში კორექტირებების შეტანის აუცილებლობაზე.

## **7. ობიექტზე მიტანილი და დასაწყობებული, მაგრამ დაუმონტაჟებელი მასალების, დანადგარების ღირებულების ასახვა შესრულებული სამუშაოების აქტში (ფორმა №2-ში):**

შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებისას შესრულებულად უნდა ჩაითვალოს და შესაბამისად შესრულებული სამუშაოების აქტში (ფორმა №2-ში) უნდა მოხდეს მხოლოდ დასრულებული სამუშაოების გათვალისწინება, მათ შორის შესრულებული სამუშაოების ეტაპის (შუალედური ფორმა №2) ინსპექტირებისას. დაუშვებელია ობიექტზე მიტანილი და დასაწყობებული, მაგრამ დაუმონტაჟებელი მასალების, დანადგარების ღირებულების საბოლოო ან შუალედურ ფორმა №2-ში ასახვა, თუნდაც მონტაჟის ღირებულების გარეშე, მათ შორის იმ შემთხვევებში თუ: აღნიშნული მასალები შემსყიდველს მიღებული აქვს მიღება-ჩაბარების აქტით; მასალების რაოდენობა ნაკლებია შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ რაოდენობაზე; ხარჯთაღრიცხვაში ცალ-ცალკე არის გაფასებული მასალები, შრომითი დანახარჯები, ტრანსპორტირება, მანქანა-მექანიზმების დანახარჯები; ხარჯთაღრიცხვაში ერთ პოზიციად არის გაფასებული მასალები, შრომითი დანახარჯები, მანქანა-მექანიზმების დანახარჯები (ამ შემთხვევაშიც დაუშვებელია გაერთიანებული პოზიციის დანაწევრება ზემოაღნიშნულ ნაწილებად СНП-ზე და სრფ-ზე დაყრდნობით გაანგარიშებული პროპორციის მიხედვით).

გამონაკლისი დასაშვებია ისეთი სამუშაოების ინსპექტირებისას, როდესაც შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ხელშეკრულება შეწყდა და დასადგენია ფაქტიურად არსებული მდგომარეობა. აღნიშნულ შემთხვევაში დაუმონტაჟებელი მასალები, დანადგარები შესაძლებელია აისახოს ინსპექტირების ანგარიშში და მათი გაფასებული ჩამონათვალი ცალკე უნდა იქნას გატანილი, მკაფიოდ იდენტიფიცირებული და აღწერილი კვლევით ნაწილში, ხოლო მათი ღირებულება არ უნდა შეჯამდეს შესრულებული სამუშაოების აქტში (ინსპექტირების შედეგად კორექტირებულ ფორმა №2 - ში) მოცემული სამუშაოების ღირებულებასთან.

**შენიშვნა:** დაუმონტაჟებელი მასალა/დანადგარები/მოწყობილობები შემსყიდველს შეუძლია მიიღოს მიღება - ჩაბარების აქტით და შესაბამისად შემსყიდველის პრეროგატივაა თანხის ანაზღაურებაც და პასუხისმგებლობაც.

## **8. ფარული სამუშაოები:**

8.1. იმ შემთხვევაში თუ არ არის წარმოდგენილი შემსყიდველის, ან მისი წარმომადგენლის მიერ დადასტურებული ფარული სამუშაოების აქტები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორიული კვლევის შედეგები, რომლითაც დგინდება ფარული სამუშაოების შესრულება, მათ შორის ისეთ სამუშაოებზე, რომელთა შესრულების გარეშე მშენებლობის შემდგომი ეტაპი ვერ განხორციელდებოდა, მაგრამ ამ სამუშაოების, მათი ნაწილის, ან რომელიმე პარამეტრის ზუსტი მოცულობის დადგენა

შეუძლებელია - აღნიშნული ტიპის სამუშაოები უნდა დარჩეს დაფიქსირებული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტში (ინსპექტირების შედეგად კორექტირებულ ფორმა №2 - ში) და შესაბამისად მათი ღირებულების გათვალისწინება მოხდეს აქტის (ინსპექტირების შედეგად კორექტირებული ფორმა №2 - ის) საერთო ღირებულებაში, მკაფიოდ აღინიშნოს აქტში (ინსპექტირების შედეგად კორექტირებულ ფორმა №2 - ში) რომელიმე პირობითი აღნიშვნით და გაკეთდეს ჩანაწერი ინსპექტირების ანგარიშის კვლევით ნაწილში, რომ აღნიშნულ სამუშაოებზე არ არის წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აქტი (საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორიული კვლევების შედეგები) და ამ სამუშაოების ჩათვლა და ანაზღაურება შემსყიდველის გადასაწყვეტია, ამასთანავე პირობითი აღნიშვნები მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი კვლევით ნაწილში.

8.2. სამუშაოები, რომლებზედაც წარმოდგენილია შემსყიდველის, ან მისი წარმომადგენლის მიერ დადასტურებული ფარული სამუშაოების აქტები ან/და ლაბორატორიული კვლევების შედეგები, რომლებითაც დგინდება ფარული სამუშაოების შესრულება, უნდა დარჩეს დაფიქსირებული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტში (ინსპექტირების შედეგად კორექტირებულ ფორმა №2 - ში) და შესაბამისად მათი ღირებულების გათვალისწინება მოხდეს აქტის (ინსპექტირების შედეგად კორექტირებული ფორმა №2 - ის) საერთო ღირებულებაში, მკაფიოდ აღინიშნოს აქტში (ინსპექტირების შედეგად კორექტირებულ ფორმა №2 - ში) რომელიმე პირობითი აღნიშვნით და გაკეთდეს ჩანაწერი ინსპექტირების ანგარიშის კვლევით ნაწილში, რომ აღნიშნულ სამუშაოებზე წარმოდგენილია ფარული სამუშაოების აქტი ან/და ლაბორატორიული კვლევების შედეგები.

8.3. „დათვლად/გამოთვლად“ ფარულ სამუშაოზე შემსყიდველის ან მისი წარმომადგენლის მიერ დამოწმებული აქტის მონაცემებსა და ინსპექტირების პროცესში ჩატარებულ აზომვებზე დაყრდნობით, შესრულებული გამოთვლების შედეგად მიღებულ მონაცემებს შორის განსხვავებების გამოვლენის შემთხვევაში, ინსპექტირების შედეგად დაკორექტირებულ შესრულებული სამუშაოების აქტში (ფორმა №2) უნდა დაფიქსირდეს ინსპექტირების პროცესში მიღებული მონაცემები შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში ამ დოკუმენტის №8.1 პუნქტის გათვალისწინებით. თუ ინსპექტირების პროცესში მიღებული მონაცემები მეტია შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის მონაცემებზე, ამ მონაცემების ის ნაწილი, რომელიც აღემატება შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის მონაცემებს, ინსპექტირების ანგარიშში უნდა აისახოს ამ დოკუმენტის №2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად;

ტერმინის განმარტება: „დათვლადი/გამოთვლადი“ ფარული სამუშაო - ისეთი ფარული სამუშაო, რომლის მოცულობის დადგენა შესაძლებელია ხილული სამუშაოების აზომვების შედეგებზე დაყრდნობით (მაგ. მოპირკეთებული იატაკის ფართის მიხედვით მოჭიმვის ფართის განსაზღვრა და სხვა).

8.4. შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ დამოწმებულ ფარული სამუშაოების აქტში დაფიქსირებული მოცულობების, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის მონაცემებზე, მეტობის შემთხვევაში, უნდა მოხდეს აქტში დაფიქსირებული მოცულობების გაზიარება სახარჯთაღრიცხვო მონაცემების ფარგლებში, ხოლო ზედმეტად შესრულებული სამუშაოების გატანა ცალკე ცხრილში და მითითება რომ მათი ანაზღაურება შემსყიდველის გადასაწყვეტია.

8.5. შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა №2) ინსპექტირებისას, სამუშაოების წარმოების ჟურნალში ფარული სამუშაოების შესრულების შესახებ შესაბამისი ჩანაწერების გაზიარება შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ დამოწმებული ფარული სამუშაოების აქტების ნაცვლად დაუშვებელია.

### ***9. შესრულებული სამუშაოების ინსპექტირების შედეგად კორექტირებული მონაცემები:***

სამუშაოები, რომელთა მონაცემების კორექტირება განხორციელდა ინსპექტირების შედეგად, მკაფიოდ უნდა აღინიშნოს შესრულებული სამუშაოების კორექტირებულ აქტში (ფორმა №2) რომელიმე პირობითი აღნიშვნით და ინსპექტირების ანგარიშის კვლევით ნაწილში გაკეთდეს ჩანაწერი, რომ აღნიშნული სამუშაოები დაკორექტირდა ინსპექტირების შედეგად მიღებული მონაცემების შესაბამისად, ამასთანავე პირობითი აღნიშვნები მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი კვლევით ნაწილში;